

# წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.  
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

# წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

# ტექსტი №1

I სხვადასხვა კულტურაში ამა თუ იმ ეტაპზე მთარგმნელობითი საქმიანობის ხასიათს და მთარგმნელის მიდგომას სათარგმნი ტექსტის მიმართ ეპოქის კულტურულ-ისტორიული, იდეოლოგიური და ლიტერატურული მოთხოვნები განაპირობებს. ეს მოთხოვნები განსაზღვრავს, თუ რა სახის ტექსტები რომელი ენიდან და როგორ უნდა ითარგმნოს. ხანგრძლივი მთარგმნელობითი ტრადიციის მქონე კულტურებში ამ ფაქტორების ზეგავლენით უკვე არსებული თარგმანების კრიტიკული შეფასების, მათი შესწორებისა და ზოგჯერ ხელახლა თარგმნის საჭიროებაც ჩნდება.

II ძველი ქართული მწერლობისა და, შესაბამისად, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ბიბლიური წიგნების პირველი თარგმანებით იწყება, რასაც მალევე მოჰყვა ორიგინალური ქართული აგიოგრაფიის პირველი ძეგლების შექმნა. ქართული მწიგნობრობა V საუკუნიდან მოყოლებული X საუკუნის ჩათვლით მჭიდრო კავშირში იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის – სირია-პალესტინის – სამწიგნობრო ცენტრებთან. ამ პერიოდის ძველი ქართული მწერლობა სასულიერო ხასიათისაა, ის, ძირითადად, ბიბლიოლოგიური, აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და სხვა ჟანრების თხზულებებითაა წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობა – ბერძნულიდან, ხოლო ნაწილი არაბული, სირიული თუ სომხური ენებიდან არის ნათარგმნი.

III ამ ეპოქის ქართული მთარგმნელობითი სტრატეგია გულისხმობდა ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართულ ენაზე გადმოღებას თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით. ძველი ქართველი მწიგნობრები, ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი თხზულებების არა ზუსტ, ადეკვატურ თარგმანს, არამედ მათ ქართულ ვერსიებს ქმნიდნენ.

IV XI საუკუნის დასაწყისიდან ქართველმა მწიგნობრებმა გეზი დასავლეთისაკენ, ბიზანტიისაკენ და იქაური სამწიგნობრო ცენტრებისაკენ აიღეს, რაც საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობების გაძლიერების პირდაპირი შედეგი იყო. ეს კი აუცილებელს ხდიდა უკვე არსებული, აღმოსავლეთის (სირია-პალესტინის) ეკლესიათა ტრადიციებზე დაფუძნებული, ქართული თარგმანების რევიზიას. დაიწყო ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა, რომლის მიზანი იყო გასულ საუკუნეებში უკვე თარგმნილი თხზულებების ხელახლა თარგმნა ან მათი ბერძნულთან შეჯერების გზით ძველი თარგმანების გადასინჯვა – ახალი რედაქციების შექმნა. პარალელურად, რა თქმა უნდა, გრძელდებოდა ბიზანტიური მწერლობის აქამდე უთარგმნელი ძეგლების ქართულად გადმოღებაც.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

V ახალი მთარგმნელობითი სტრატეგია ეფუძნებოდა ახალ კონცეფციას, რომელიც XI საუკუნის შუა წლებიდან ანტიოქიაში იღებს სათავეს და რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ელინოფილიზმს“ უწოდებენ, რაც „ელინთა (ბერძენთა) მოყვარულობას“ ნიშნავს. ამ მიმდინარეობამ მთარგმნელობით საქმიანობაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. მართალია, ქართველმა ელინოფილებმა გააგრძელეს იმავე ჟანრების თხზულებების თარგმნა, რომლებსაც მათი წინამორბედი მწიგნობრები თარგმნიდნენ, მაგრამ კრიტიკული თვალთ შეხედეს ადრინდელ ქართულ თარგმანებს, შენიშნეს მათი დაშორება ბერძნულისაგან, დაიწყეს მათი გასწორება ბერძნული ტექსტების მიხედვით და, ზოგ შემთხვევაში, ახლად თარგმნა. თავისუფალი, მკითხველზე ორიენტირებული ტიპის თარგმანის ნაცვლად ამ პერიოდის მთარგმნელები მიზნად ისახავდნენ ორიგინალის ადეკვატური, ზედმიწევნითი თარგმანების შექმნას როგორც შინაარსის, ისე ფორმის კუთხით. ბერძნულ დედანთან დასაახლოებლად მთარგმნელს ზოგჯერ უხდებოდა ძველი თარგმანების რევიზია – ბერძნულთან მისადაგების მიზნით ტექსტებში გარკვეული ცვლილებების შეტანა: სიტყვათა დამატება თუ დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების შეცვლა და მისთ.

VI ადრინდელი თარგმანის ქართულად ხელახლა თარგმნის მიზეზი სხვადასხვა იყო: ძველ თარგმანს, შესაძლოა, გაუმართავი დედანი ედო საფუძვლად; შესაძლოა, ის შებღალული იყო გადაწერის დროს; შესაძლოა, მასში გაპარული ყოფილიყო სიჩქარით გამოწვეული უზუსტობები, ან იმ ენიდან არ ყოფილიყო ნათარგმნი, რომელზეც ის იყო შექმნილი.

VII მართალია, ადრეულ პერიოდში ბერძნულიდან ნათარგმნი სახარება დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ მკითხველთა და მთარგმნელთა წრეებში, მაგრამ მან სამჯერ განიცადა რედაქტირება XI-XII საუკუნეებში. ასეთი რედაქციული გადამუშავების მიზეზი არ ყოფილა ენობრივი მოდერნიზაცია; ამ პერიოდში ქართულ ენაში არ მომხდარა ისეთი მასშტაბური ცვლილება, რომლის გამოც აუცილებელი გამხდარიყო ძველ ქართულ თარგმანთა რედაქციული გადამუშავება. მიზეზი ადრინდელი თარგმანის ბერძნულისაგან მეტ-ნაკლები დაშორება იყო, რაც გამოსწორებას – მის ბერძნულ წყაროსთან მაქსიმალურ დაახლოებას მოითხოვდა. ამიტომაც, რომ გვიანდელ რედაქციებში საგრძნობლად დიდია ბერძნობების რაოდენობა და საერთოდ არ დასტურდება ნეოლოგიზმები.

# 1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) V-X სს. და XI-XII სს. ქართული მწიგნობრული პროცესების მიმოხილვის ფონზე გამოკვეთოს V-X სს. მთარგმნელობითი სკოლის სპეციფიკა.
- (ბ) ხაზი გაუსვას ქრისტიანულ სამყაროში კულტურულ-ისტორიული ფაქტორების მნიშვნელობას მწიგნობრული პროცესების ჩამოყალიბებაში.
- (გ) გააანალიზოს ხელახალი თარგმნის მიზეზები ქართველ ელინოფილთა მთარგმნელობით საქმიანობაში.
- (დ) გაგვაცნოს XI-XII სს. ქართველ მწიგნობართა მთარგმნელობითი სტრატეგია კულტურულ-ისტორიულ მოთხოვნათა ფონზე.
- (ე) მიმოხილოს ძველი ქართული მთარგმნელობითი პროცესების სპეციფიკა და მათი განმსაზღვრელი პოლიტიკურ-კულტურული მიზეზები.

2. რა განასხვავებდა V-X საუკუნეების მთარგმნელობით პროცესებს XI-XII საუკუნეების მთარგმნელობითი პროცესებისაგან?

- I. V-X საუკუნეებში თარგმანები სრულდებოდა როგორც ბერძნული, ისე არაბული, სირიული და სომხური ენებიდან.
- II. V-X საუკუნეებში დამოკიდებულება თარგმანების მიმართ იყო კრიტიკული.
- III. V-X საუკუნეებში სასულიერო ჟანრის თხზულებები ითარგმნებოდა.
- IV. V-X საუკუნეებში შესრულებული თარგმანები საკმაოდ განსხვავდებოდნენ ორიგინალებისაგან.

- (ა) მხოლოდ I და II.
- (ბ) მხოლოდ I და III.
- (გ) მხოლოდ I და IV.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) მხოლოდ II, III და IV.

3. რომელ აზრს შეავსებდა ყველაზე უკეთ შემდეგი მაგალითი?

*XI საუკუნეში ბერძნულიდან ქართულად ხელახლა ითარგმნა VIII საუკუნეში არაბულიდან ნათარგმნი „სათნოების კიბე“, რომელიც ბერძენ ავტორს, იოანე სინელს ეკუთვნის.*

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) VI
- (ე) VII

4. რის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი ტექსტში სახარების სამჯერ რედაქტირების მაგალითი?

- (ა) ელინოფილები არ ერიდებოდნენ იმ ტექსტების რედაქტირებას, რომლებიც ქართულად ორიგინალის ენიდან არ იყო ნათარგმნი.
- (ბ) ელინოფილები ხელს ჰკიდებდნენ ისეთი ტექსტების რედაქტირებას, რომლებიც სხვადასხვა სახის შეცდომებს შეიცავდა.
- (გ) შუა საუკუნეების მწიგნობრულ წრეებში მიღებული იყო ერთხელ უკვე ნათარგმნი ტექსტების ხელახლა თარგმნა.
- (დ) ბერძნულ ორიგინალთან ზედმიწევნით დაახლოების მიზნით ელინოფილები აქტიურად მუშაობდნენ ადრინდელ თარგმანებზე.
- (ე) XI-XII საუკუნეებში ადრინდელი თარგმანების რამდენჯერმე რედაქტირების მიზეზი საქართველოს ბიზანტიურ კულტურაზე ორიენტაცია იყო.



5. V აბზაცში:

- (ა) შეჯამებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში წარმოდგენილი საკითხი.
- (გ) მოყვანილია მაგალითები წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობის გასამყარებლად.
- (დ) გაანალიზებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მაგალითები.
- (ე) კრიტიკულად არის განხილული წინა აბზაცში წარმოდგენილი საკითხი.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) ახალი მთარგმნელობითი სტრატეგიის შემუშავებას საფუძვლად ედო საქართველოს გეზის შეცვლა ქრისტიანული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.
- (ბ) ქრისტიანული მწერლობის ძეგლები ქართულად სხვადასხვა ენიდან ითარგმნებოდა.
- (გ) თხზულება ხელახლა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითარგმნებოდა, თუ ის მანამდე იმ ენიდან არ იყო ნათარგმნი, რომელზეც ის შეიქმნა.
- (დ) ელინოფილთა მიზანი იყო თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან მაქსიმალური დაახლოება.
- (ე) ელინოფილთა მთარგმნელობით მოღვაწეობას თარგმანების ბერძნული ფორმებით გამდიდრება მოჰყვა.

7. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება VII აბზაცში?

- (ა) ბერძნულ ტექსტთან დაახლოების შედეგად სახარება უფრო გასაგები გახდა ქართველი მკითხველისათვის.
- (ბ) რედაქტირების შედეგად სახარებაში შესამჩნევი გახდა ბერძნული ენის გავლენა.
- (გ) რედაქტირების შედეგად სახარება გამდიდრდა ახალი ქართული ლექსიკით.
- (დ) სახარების რედაქციული გადამუშავების მიზეზი XI-XII საუკუნეებში ქართულ ენაში მომხდარი ცვლილებები იყო.
- (ე) XI-XII საუკუნეებში სახარებას რედაქტირება მხატვრული გადამუშავების მიზნით ჩაუტარდა.

## ტექსტი №2

მკ. წ. V-IV საუკუნეების ათენში *სახალხო კრება* მმართველობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენდა. ეს იყო მამრობითი სქესის ათენელ მოქალაქეთა რეგულარული თავყრილობა, რომელზედაც მოისმენდნენ, განიხილავდნენ და კენჭს უყრიდნენ კანონებს. სახალხო კრებაზე ირჩევდნენ სამხედრო მოხელეებს, ხაზინადრებს, ხომალდთა ინჟინრებს და ა. შ. კანონის მიხედვით, მოქალაქეს ამა თუ იმ საჯარო თანამდებობის დაკავება მხოლოდ ერთხელ შეეძლო. სახალხო კრება ასევე ნიშნავდა ელჩებს, აგზავნიდა ელჩობებს უცხოეთში, განიხილავდა სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების შედეგებს. სახალხო კრებაზე იღებდნენ ომის დაწყებისა და ზავის დადების გადაწყვეტილებებს. აქვე განიხილებოდა რელიგიური დღესასწაულების დაფინანსების საკითხი, ბრალდებები, რომლებიც წაყენებული ჰქონდათ არაღვთისმომადგენელი მოქალაქეებს და სხვ. სახალხო კრება განსაზღვრავდა, ასევე, ღარიბი მოქალაქეებისათვის დახმარების გაცემის საკითხს, ადგენდა ბიუჯეტს; კრებაზე გამოითქმებოდა ბრალდებები სახელმწიფო ხაზინის გაფლანგვასა და სხვა ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებით.

სახალხო კრების მოწყობასა და მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მისდამი დაქვემდებარებული ორგანო – ბულე, რომელიც კრების დღის წესრიგს ადგენდა, ასევე, პრიტანისების ჯგუფი (სახალხო კრების მონაწილეთაგან შერჩეული 50 მოქალაქე), რომელიც სახალხო კრებას იწვევდა. მათი რიგებიდან წილისყრით ირჩეოდა კრების თავმჯდომარე, რომელიც ამ მოვალეობას ერთი დღის განმავლობაში ასრულებდა; ყოველ კრებაზე თავმჯდომარეს ხელახლა ირჩევდნენ. კრება ასევე ირჩევდა გრამატეკსს, რომელსაც დოკუმენტები ხმამაღლა უნდა წაეკითხა.

სახალხო კრების წევრობა და მასზე სიტყვის წარმოთქმა მამრობითი სქესის ყველა ათენელ მოქალაქეს შეეძლო მისი წარმომავლობისა თუ ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ათენელი მამაკაცი სახალხო კრების წარმომადგენელთა სიაში მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხვედრილიყო, როდესაც 18 წლის შესრულების შემდგომ ორწლიან სამხედრო სამსახურს გაივლიდა. ამ დროიდან ხდებოდა ის მოქალაქე. ათენის სახალხო კრების მონაწილეთა რიცხვი 200-დან 30 000-მდე მერყეობდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხების განხილვისას კვორუმი 6000 კაცი უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა მიზეზის გამო ცალკეული ინდივიდისათვის შესაძლოა, სახალხო კრებაში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმიათ. ამისი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ხაზინის ვალი, მშობლების უპატივცემულობა, მათ შენახვაზე უარის თქმა და სხვ. თუ რომელიმე მოქალაქე მიიჩნევდა, რომ ესა თუ ის პირი არ იყო ღირსი მონაწილეობა მიეღო სახალხო კრებაში, მას შეეძლო მოეთხოვა გამოძიების ჩატარება ამ პირის მიმართ, რის შედეგადაც საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცემოდა.

*ტექსტის გაგრძელება ->*

კრების მუშაობა წლის განმავლობაში დაყოფილი იყო ათ ციკლად – პ რ ი ტ ა ნ ე ა დ. თითოეული პრიტანეა 36 დღისაგან შედგებოდა, რომლის განმავლობაში კრებას ოთხჯერ იწვევდნენ. ოთხიდან ერთ შეკრებას *უმაღლესი კრება* ეწოდებოდა. ამ კრებაზე განიხილავდნენ მოქალაქეთა თანამდებობაზე დამტკიცების, საკვებით მომარაგებისა და თავდაცვის საკითხებს, ასევე, აცხადებდნენ იმ კერძო საკუთრებათა შესახებ, რომლებიც კონფისკაციას ექვემდებარებოდა და ა. შ. რიგით კრებებზე კი განიხილავდნენ კონკრეტულ საკითხებს სხვადასხვა სფეროდან. მაგალითად, I პრიტანეის დროს მოწვეულ ერთ-ერთ კრებაზე მოქალაქეებმა კენჭი უყარეს იმას, საჭიროებდა თუ არა ესა თუ ის კანონი რევიზიას. VI პრიტანეის დროს გამართულ ერთ-ერთ კრებაზე განიხილეს საზოგადოებიდან ადამიანის განკვეთის საკითხი, მოისმინეს ინფორმატორების წინააღმდეგ არსებული ინფორმაცია, ასევე, იმსჯელეს იმ ადამიანთა შესახებ, რომლებსაც საჯარო სამსახურში მოვალეობის შეუსრულებლობაში ედებოდათ ბრალი.

უმაღლესი სახალხო კრებისა და რიგით კრებათა გვერდით არსებობდა კრების კიდევ ერთი სახეობა – ე. წ. *თავმეყრილი კრება*. წყაროებში ის საგანგებო კრების მნიშვნელობით არის მოხსენიებული, რომელიც სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გადაჭრის საჭიროების შემთხვევაში სპონტანურად ინიშნებოდა.

ნიშანდობლივია, რომ სახალხო კრება ერთბაშად, პირდაპირ არ იღებდა და არ აუქმებდა კანონებს. თუ კრება გამოთქვამდა უკმაყოფილებას რომელიმე კანონის მიმართ, მაშინ შემდგომ სხდომაზე ეს კანონი უნდა განეხილათ. იმ შემთხვევაში, თუ განხილვისას გაირკვეოდა, რომ კანონი შესაცვლელი იყო, მაშინ მესამე სხდომაზე კენჭი უნდა ეყარათ კანონმდებელთა საბჭოს დანიშვნისათვის, რომელიც ამ კანონის შესახებ უკვე საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ამ კანონმდებლებს ნ ო მ ო თ ე ტ ე ბ ი ეწოდებოდათ.

**8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

- (ა) წარმოაჩინოს ათენის სახალხო კრებაში მონაწილე მოქალაქეთა ფუნქციები.
- (ბ) ერთმანეთს შეადაროს ათენის მმართველობის ინსტიტუტის, სახალხო კრების სახეობათა ფუნქციები.
- (გ) განსაზღვროს ათენის სახალხო კრების უფლებამოსილების სფეროები.
- (დ) წარმოაჩინოს ათენის მმართველობითი ინსტიტუტის – სახალხო კრების – მუშაობის დადებითი მხარეები.
- (ე) აღწეროს ათენის მმართველობითი ინსტიტუტის – სახალხო კრების – მუშაობის სპეციფიკა.

9. ქრისოდულე, ათენის პორტის ხაზინადარი, თვალსაჩინოდ ასრულებს თავის მოვალეობას, რის გამოც დაწინაურებას იმსახურებს. ტექსტის მიხედვით, ყველაზე მეტად რომელ კრებაზეა მოსალოდნელი, განხილულიყო მისი მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი?

- (ა) უმაღლეს კრებაზე
- (ბ) რიგით კრებაზე
- (გ) ე. წ. თავშეყრილ კრებაზე
- (დ) ნომოთეტების შეკრებაზე
- (ე) ბუღეს შეკრებაზე

10. არქელაოსს საკუთარი მოხუცი მამა სახლიდან გამოუძევებია, უარი უთქვამს მის შენახვაზე, მოქმედი კანონი სათანადოდ ვერ იცავს მოხუცს.

ტექსტის მიხედვით, ყველაზე მეტად რომელ კრებაზეა მოსალოდნელი, განხილულიყო ამ კანონის გადახედვის საჭიროება?

- (ა) უმაღლეს კრებაზე
- (ბ) რიგით კრებაზე
- (გ) ე. წ. თავშეყრილ კრებაზე
- (დ) ნომოთეტების შეკრებაზე
- (ე) ბულეს შეკრებაზე



## 11. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

- (ა) სახალხო კრების უფლებამოსილებაში შედიოდა ათენის სახელმწიფოს ფინანსური საკითხების მოგვარება.
- (ბ) ათენის სახელმწიფოში სახალხო კრება და ბულე თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობდა.
- (გ) სახალხო კრების თავმჯდომარეობა შეეძლო სახალხო კრების ნებისმიერ რიგით წევრს.
- (დ) სახალხო კრების წევრობა შეეძლო მამრობითი სქესის ნებისმიერ ათენელს.
- (ე) ათენში ბულეს მიერ მომზადებულ კანონპროექტებს სახალხო კრება განიხილავდა და ადასტურებდა.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ათენის სახალხო კრება თავისი წევრის ზნეობრივ სახეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.
- (ბ) სახალხო კრება განსაზღვრავდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას.
- (გ) სახალხო კრება განაგებდა რელიგიასთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს.
- (დ) რიგითი სახალხო კრებები, უმაღლესი კრებისგან განსხვავებით, საჭიროების შემთხვევაში იკრიბებოდა.
- (ე) სახალხო კრების ერთ-ერთი ფუნქცია საჯარო მოხელეების არჩევა იყო.

### 13. რა არის ბოლო აბზაცის მთავარი სათქმელი?

- (ა) სახალხო კრება კანონების განხილვას სკრუპულოზურობითა და დიდი გულისყურით ეკიდებოდა.
- (ბ) სახალხო კრების მიერ მიღებული კანონები ხშირად იწვევდა უკმაყოფილებას.
- (გ) კანონის საბოლოო მიღებისათვის სახალხო კრების სამი სხდომის ჩატარება იყო საჭირო.
- (დ) სახალხო კრების მიერ მიღებული კანონები ხშირად საჭიროებდა შეცვლას.
- (ე) კანონთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ნომოთეტები იღებდნენ.

14. რა თანამიმდევრობით არის ტექსტში განხილული შემდეგი საკითხები?

- A. სახალხო კრების წარმომადგენელთა ვინაობა
- B. სახალხო კრების სახეობები და ჩატარების ვადები
- C. სახალხო კრების უფლებამოსილების სფეროები
- D. კანონებზე მუშაობის სპეციფიკა
- E. სახალხო კრების მოწყობისა და მართვის მექანიზმები

(ა) D, A, C, B, E.

(ბ) C, B, D, E, A.

(გ) C, E, A, B, D.

(დ) A, B, E, D, C.

(ე) D, A, C, E, B.

## ტექსტი №3

I ცხოველთა სამყაროში მრავალი სოციალური ქცევა ეგოისტური ა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ქცევებს, განსაკუთრებით შეჯიბრში მონაწილეობისას, ცხოველისათვის სარგებლობა მოაქვს სხვების ხარჯზე. მეტი წილი ქცევებისა, რომლებიც ერთი ინდივიდისათვის სასიკეთოა, არაპირდაპირი გზით ზიანს აყენებს სხვა ინდივიდებს. ეს ასეა იმ სახეობებშიც კი, რომლებშიც ინდივიდებისათვის აგონიური (შეჯიბრისა და შებრძოლების) ქცევები არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, ერთი ინდივიდის ფურაჟირების – საკვების მოპოვების – ქცევამ შეიძლება სხვა ინდივიდებისათვის ნაკლები საკვები დატოვოს. ეგოიზმის მიზეზების გაგება ადვილია, მას ბუნებრივი სელექცია განსაზღვრავს. ბუნებრივი სელექცია უპირატესობას ანიჭებს ქცევას, რომელიც მაქსიმალურად აძლიერებს ინდივიდის შეგუების – გადარჩენისა და გამრავლების – შესაძლებლობას იმისდა მიუხედავად, რამდენად დიდ ზიანს აყენებს ის სხვა ინდივიდებს, ლოკალურ პოპულაციასა და მთელ სახეობასაც კი.

II თუმცა ხანდახან ზოგიერთი ცხოველი იქცევა იმგვარად, რომ მისი ქცევა იწვევს საკუთარი ინდივიდუალური შეგუების შემცირებას და მისსავე პოპულაციაში სხვა ინდივიდების შეგუების ზრდას. ამას ალტრუიზმი ეწოდება. მაგალითად, თრია, რომელიც შევარდნის სასურველ მსხვერპლს წარმოადგენს, მოახლოებული მტაცებლის დანახვისას გამოსცემს განგაშის ყვირილს ბოლო ხმაზე. ეს ხმა აფრთხილებს სხვა ინდივიდებს, რომელთაც საფრთხის მოახლოების შესახებ არაფერი იციან. ისინი სასწრაფოდ იმალებიან სოროებში. საველე დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ განგაშის ნიშნის მიცემის ქცევა ზრდის იმის რისკს, რომ თრია თავად დაილუპოს, რადგანაც მტაცებელი ყურადღებას მიაპყრობს იქით, საიდანაც განგაშის მაუწყებელი ხმა მოდის.

III როგორ შეიძლება, რომ ალტრუისტული ქცევა გადარჩენილიყო ევოლუციისას, თუ ის არ ზრდის და, ფაქტობრივად, ამცირებს კიდევ საკუთარი თავის მსხვერპლად გამლები ინდივიდის გამრავლების წარმატების შანსს? შედარებით ადვილია იმის გაგება, თუ როგორ გადაურჩა სელექციას ამგვარი ქცევა, როცა საქმე ეხება მშობლის მიერ თავის გაწირვას საკუთარი ნაშიერების გადასარჩენად. როცა მშობლები საკუთარ სიცოცხლეს მსხვერპლად წირავენ იმისათვის, რომ დაეხმარონ საკუთარ ნაშიერებს, ეს, ფაქტობრივად, აუმჯობესებს მშობლების შეგუებას, რადგანაც მაქსიმალურად ზრდის მათ გენეტიკურ წარმომადგენლობას პოპულაციაში.

*ტექსტის გაგრძელება ->*

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

**IV** მაგრამ ინდივიდები ზოგჯერ ეხმარებიან სხვებსაც – სისხლით ნათესავეებს, რომლებიც მათ ნაშიერებს არ წარმოადგენენ. ნაშიერებისა და მშობლების მსგავსად სისხლით ნათესავეებსაც გენების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო აქვთ. ამიტომაც სელექციის შედეგად შესაძლოა ასევე უპირატესობა მიენიჭოს სისხლით ნათესავეების დახმარების ქცევას, რომელიც ინდივიდებს საშუალებას მისცემს, რომ გაამრავლონ, წარმოშვან სისხლით ნათესავეები. ბიოლოგი ჰამილტონი იყო პირველი, ვინც მიხვდა, რომ სელექციას შეიძლებოდა შედეგად მოეტანა ცხოველის გენეტიკური წარმომადგენლობის ზრდა მომდევნო თაობაში ალტრუისტული დახმარების გაწევის საშუალებით იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც მათ ნაშიერებს არ წარმოადგენდნენ. ამ აზრს მივყავართ მოდგმის სელექციის კონცეფციასთან.

**V** თუმცა ზოგიერთი ცხოველი ალტრუისტულად იქცევა იმ ინდივიდების მიმართაც, რომლებიც მისი ნათესავეები არ არიან. მაგალითად, ბაბუინი შეიძლება დაეხმაროს ბრძოლაში მისთვის ნათესაურ კავშირში არმყოფ ინდივიდს, ანდა მგელმა შეიძლება შესთავაზოს საკვები მგელს სხვა ხროვიდან, რომელთანაც მას არ აქვს ნათესაური კავშირი. ასეთმა ქცევამ შეიძლება ბუნებრივ სელექციას გაუძლოს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი, რომელსაც მიეხმარნენ, მომავალში სიკეთითვე უპასუხებს სხვას. დახმარების ურთიერთგაცვლის ეს ტიპი, რომელსაც ეწოდება **ს ა პ ა ს უ ხ ო ა ლ ტ რ უ ი ზ მ ი**, მოწოდებულია ახსნას ალტრუისტული ქმედებები ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში არმყოფ ინდივიდთა შორის.

**VI** საპასუხო ალტრუიზმი ცხოველებში შედარებით იშვიათია და უფრო ხშირად გვხვდება იმ სახეობებში, რომლებიც მყარ სოციალურ ჯგუფებად ცხოვრობენ. ასეთ პირობებში ინდივიდებს ერთმანეთთან კვლავ შეხვედრის და დახმარებათა ურთიერთგაცვლის მეტი შანსი აქვთ. ინდივიდის საქციელს „მოტყუებას“ უწოდებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდების კვლავ შეხვედრას უარყოფითი შედეგი მოსდევს, ანუ ინდივიდი, რომელსაც ადრე დაეხმარნენ, სიკეთითვე არ უპასუხებს სხვას.

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) გამოკვეთოს ცხოველთა სამყაროში ეგოისტური ქცევის უპირატესობა ალტრუისტულ ქცევასთან შედარებით.
- (ბ) წარმოაჩინოს ცხოველთა ალტრუისტული ქცევა და მისი ტიპები.
- (გ) განიხილოს მეცნიერთა შეხედულებები ცხოველთა ალტრუისტული ქცევის შესახებ.
- (დ) ახსნას ნათესაურ კავშირში მყოფ ინდივიტთა შორის სოციალური ქცევის თავისებურებები.
- (ე) წარმოაჩინოს ცხოველთა ალტრუისტული ქცევის ყველაზე განვითარებული ფორმები.

16. რომელ აზრს უკავშირდება შემდეგი:

*ბრიტანელმა გენეტიკოსმა, ჯ. ჰ. მ. ხუმრობით თქვა, რომ ორი შვილის გაჩენის ნაცვლად ის თავს გაწირავდა ორი ძმის ან რვა ბიძაშვილის გადასარჩენად.*

- (ა) I
- (ბ) II
- (გ) III
- (დ) IV
- (ე) V



17. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ცხოველთა ალტრუისტულ ქცევას აქვს იმის პოტენციალი, რომ ამა თუ იმ სახით გაზარდოს შეგუების შანსი.
- (ბ) ეგოისტურ ქცევას, ალტრუისტულისაგან განსხვავებით, არ აქვს იმის პოტენციალი, გაზარდოს ინდივიდუალური შეგუების შანსი.
- (გ) საპასუხო ალტრუისტულ ქცევას შეგუების გაზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს.
- (დ) ევოლუციისას არ ხდება იმ ქცევების სელექცია, რომლებიც იწვევს ინდივიდუალური შეგუების შემცირებას.
- (ე) ბუნებრივი სელექციისას მხოლოდ იმ ქცევებს ენიჭება უპირატესობა, რომლებიც მინიმალურ ზიანს აყენებს ინდივიდს.

18. რის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი შემდეგი მაგალითი?

*სტერილური მუშა ფუტკრების ქცევებს სარგებელი მოაქვს სკის ერთადერთი მუდმივი წევრისათვის, რომელიც პროდუქტიული თვალსაზრისით აქტიურია. ეს არის დედოფალი, რომელიც ამავე დროს მათი დედაცაა. მათი ქცევები მთელი სკის გადარჩენას ემსახურება.*

- I. ეგოისტური ქცევის
- II. აგონიური ქცევის
- III. ალტრუისტული ქცევის
- IV. საპასუხო ალტრუიზმის

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) მხოლოდ I და IV

19. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

- (ა) საპასუხო ალტრუიზმი ხელს უშლის სახეობის შეგუების ზრდას.
- (ბ) ცხოველებში უფრო გავრცელებულია საპასუხო ალტრუიზმის ქცევა, ვიდრე ეგოისტური ქცევა.
- (გ) საპასუხო ალტრუიზმის ქცევაში ჩართული ინდივიდები ყოველთვის მეგობრულები არიან ერთმანეთის მიმართ.
- (დ) ყველა ქცევა, რომელიც ერთი ინდივიდისთვის სასიკეთოა, ზიანს აყენებს სხვა ინდივიდს.
- (ე) ცხოველებში ეგოისტური ქცევა ინდივიდუალურ შეგუებას უწყობს ხელს, ალტრუისტული კი – მოდგმის სელექციასა და შეგუებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

20. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში ქვემოთ ჩამოთვლილი ქცევის ფორმები?

- A. ქცევა, რომელიც არანათესავ ინდივიდთა ურთიერთდახმარებით ხელს უწყობს პოპულაციაში შეგუების ზრდას.
- B. ქცევა, რომელიც აძლიერებს ინდივიდის შეგუების – გადარჩენისა და გამრავლების – შესაძლებლობას სხვა ინდივიდების ხარჯზე.
- C. ქცევა, რომელიც სისხლით ნათესავების დახმარების გზით პოპულაციაში ინდივიდის გენეტიკური წარმომადგენლობის ზრდას უწყობს ხელს.
- D. ქცევა, რომელიც ზრდის მშობლის შეგუებას საკუთარი ნაშიერების დახმარების საშუალებით.

- (ა) A, B, C, D
- (ბ) A, C, D, B
- (გ) D, B, C, A
- (დ) B, D, C, A
- (ე) C, A, B, D

21. ბოლო აბზაცში:

- (ა) გავრცობილია წინა აბზაცში განხილული საკითხი.
- (ბ) შეჯამებულია ტექსტში განხილული საკითხები.
- (გ) მოყვანილია არგუმენტი წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად.
- (დ) მოყვანილია წინა აბზაცში განხილული საკითხის საპირისპირო არგუმენტი.
- (ე) მოყვანილია მაგალითები წინა აბზაცში დასმული საკითხის გასამყარებლად.

# ტესტის დასასრული

ტესტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტესტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტესტი №3	15	16	17	18	19	20	21
----------	---	---	---	---	---	---	---	----------	---	---	----	----	----	----	----	----------	----	----	----	----	----	----	----